საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/197 "17" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" 13[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ბ) სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

გ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2021 წლის 18 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი